



თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
კურსების კატალოგი

**ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების საბაზისო კურსი (NATO
SELECTED) (საერთაშორისო)**

მიზანი:

საინფორმაციო გარემოს ანალიზის, საინფორმაციო აქტივობების შემუშავებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების მიდგომების გამოყენების შესწავლა.

განსახილველი საკითხები:

კურსის ფარგლებში განიხილება შემდეგი საკითხები:

- სტრატეგიული კომუნიკაციის არსი;
- ჰიბრიდული ომის საინფორმაციო ელემენტი;
- საინფორმაციო გარემო და მისი აქტორები;
- ციფრული ლანდშაფტი;
- ნარატივი და მტრული ნარატივი, სტრატეგიული კომუნიკაციები ნატოსა და საქართველოში.

კურსის მოსალოდნელი შედეგები:

მოსალოდნელი შედეგი 1:

- კურსის მონაწილეებს კომპლექსურ საინფორმაციო გარემოში სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების ამოცნობა შეუძლიათ.

მოსალოდნელი შედეგი 2:

- კურსის მონაწილეებს ნატო-ს სამხედრო ოპერაციებში სტრატეგიული კომუნიკაციების როლისა და მნიშვნელობის ამოცნობა შეუძლიათ.

კურსის შედეგად განვითარებული უნარები:

ნატო-ს პოლიტიკისა და გაიდლაინების თანახმად, სამხედრო და სამოქალაქო პირებს შეეძლებათ კომპლექსურ საინფორმაციო გარემოში სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების ამოცნობა, შემდეგი ცოდნისა და უნარების მეშვეობით:

- სტრატეგიული კომუნიკაციების პრინციპები, სტრატეგიული კომუნიკაციების პოლიტიკა, სტრუქტურა და მისი ურთიერთობა სხვადასხვა სამხედრო პოლიტიკურ მიმართულებასთან;
- ნარატივების როლის ამოცნობა განწყობების, ქცევისა და წარმოდგენების ჩამოყალიბების პროცესში;
- საინფორმაციო გარემოს, მისი განსაზღვრებისა და შინაარსის ამოცნობა;
- სტრატეგიული კომუნიკაციების ჩარჩო კონცეფციების შემუშავება და საკომუნიკაციო კამპანიების დაგეგმვა და აღსრულება;

ნატო-ს პოლიტიკისა და გაიდლაინების თანახმად, სამხედრო და სამოქალაქო პირებს შეეძლებათ სტრატეგიული კომუნიკაციების როლისა და მნიშვნელობის ამოცნობა, შემდეგი ცოდნისა და უნარების მეშვეობით:

- სტრატეგიული კომუნიკაციების ფუნქციების (საინფორმაციო ოპერაციები) და შესაძლებლობების (სამხედრო საზოგადოებრივი საკმეები, ფსიქოლოგიური ოპერაციები, სტრატეგიული ჩართულობა, ციფრული ჩართულობა), ისევე როგორც სხვა სამხედრო შესაძლებლობების როლისა და კონტრიბუციის ცოდნა სამხედრო ოპერაციებში.
- სტრატეგიული კომუნიკაციების გამოყენება პრაქტიკაში.

სწავლების ფორმა: სალექციო კურსი.

სწავლების მეთოდოლოგია:

- გონებრივი იერიში
- შემთხვევების ანალიზი
- დისკუსია
- კოლაბორაციული სწავლება
- პრობლემების გადაჭრის სავარჯიშო
- როლური თამაშები
- თხრობა
- პრეზენტაციები

სამიზნე აუდიტორია: თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის სპეციალისტები, სტრატეგიული და შუა რგოლის მენეჯერები, საერთაშორისო წარმომადგენლები.

კურსის ხანგრძლივობა: 5 დღე.

მონაწილეთა რაოდენობა: 20.

სწავლების ენა: ინგლისური.

კოდი: NSC-2021.